რუსეთის პოზიციის ცვლილების მიზეზები ყარაბაღის მეორე კონფლიქტის დროს

აიშა ბაირამოვა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე კავკასიის კვლევების მაგისტრის სკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: რეგიონული კვლევები (კავკასიის კვლევები, საბჭოთა კვლევები, ევროპისმცოდნეობა)

მიმართულება: კავკასიის კვლევები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზარინა ბურკაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

“როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

ბაირამოვა აიშა

20.06.2022.

სარჩევი

აბსტრაქტი 5

შესავალი 6

ლიტერატურის მიმოხილვა: 9

ნაშრომის თეორიული ჩარჩო.....12

კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია 20

დამოუკიდებელი კონცეპტი.....22

დამოკიდებული კონცეპტი 23

I-თავი. აზერბაიჯანის პოლიტიკური ელიტა ყარაბაღის პირველი და მეორე ომების დროს.....24

აზერბაიჯანის პოლიტიკური სიტუაციის მოკლე მიმოხილვა 24

აზერბაიჯანის პოლიტიკური ელიტის სიძლიერე პირველი და მეორე ყარაბაღის ომების დროს 26

II-თავი სომხეთის პოლიტიკური გარემო ყარაბაღის პირველი და მეორე ომების დროს..30

2.1. სომხეთის პოლიტიკური ლანდშაფტი 30

2.2. სომხეთის პოლიტიკური ელიტა ყარაბაღის პირველი ომის დროს 31

2.3. სომხეთის პოლიტიკური ლანდშაფტი ყარაბაღის მეორე ომის დროს 33

III-თავი. რეგიონული აქტორების პოზიცია და როლი ყარაბაღის კონფლიქტში 35

3.1. ირან-აზერბაიჯანისა და ირან-სომხეთის ურთიერთობები.....35

3.2. ირანის პოზიცია ყარაბაღის საკითხთან მიმართებაში ყარაბაღის პირველი და მეორე ომების დროს.....36

3.3. თურქეთ-სომხეთისა და თურქეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობები 40

3.4. თურქეთის პოზიცია ყარაბაღის ორი ომის დროს.....42

IVთავი. რუსეთის პოლიტიკის ახსნა.....43

4.1. რუსეთის ინტერესები სამხრეთ კავკასიაში.....43

4.2. სომხეთისა და აზერბაიჯანის მნიშვნელობა რუსეთისთვის.....48

4.3. რუსეთის პოზიციის ცვლილების მიზეზების ახსნა ყარაბაღის მეორე ომის დროს.....50

V-თავი. საერთაშორისო კონტექსტი 55

5.1. საერთასორისო კონსტექსტი ყარაბაღის პირველი ომის დროს.....54

5.2. საერთაშორისო კონტექსტი ყარაბაღის მეორე ომის დროს 57

დასკვნა და რეკომენდაციები.....58

ბიბლიოგრაფია.....59

აბსტრაქტი

ყარაბაღის მეორე ომის დაწყებამ მნიშვნელოვნად გაზარდა საერთაშორისო საზოგადოების ინტერესი ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებით. აღნიშნული კვლევის მიზანს წარმოადგენს რუსეთის პოზიციის შესწავლა ამ კონფლიქტში, მისი პოზიციის ცვლილების შესაძლო განმაპირობებელი ფაქტორების დადგენა და ახსნა. ყარაბაღის მეორე ომთან დაკავშირებით რუსეთის პოლიტიკის ასახსნელად გამოყენებულ იქნა საერთაშორისო ურთიერთობების რეალიზმისა და რაციონალური არჩევანის თეორიები.

ნაშრომში დასმული კვლევის კითხვებისათვის პასუხის გასაცემად, გამოყენებულია ცალკეული შემთხვევების შესწავლის თვისებრივი მეთოდი (qualitative case-study method). მონაცემთა შეგროვება მოხდა მეორადი წყაროების გამოყენებით, კერძოდ კი, ამ რეგიონისა და კონფლიქტის შესახებ გამოქვეყნებული სამეცნიერო ლიტერატურისა და პოლიტიკის დოკუმენტების ანალიზის შედეგად ახსნილი იქნა რუსეთის პოზიციების ცვლილებების მიზეზები.

კვლევის შედეგები მიუთითებენ, რომ რუსეთის პოზიციის ცვლილება ყარაბაღის მეორე ომის დროს არ იყო განპირობებული რომელიმე ერთი კონკრეტული ფაქტორით, არამედ იგი ეფუძნებოდა რამდენიმე ფაქტორს ერთად (რუსეთის ინტერესები რეგიონში, რუსეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობებს, რუსეთ-თურქეთის ტაქტიკურ მოკავშირეობას, სომხეთის პროდასავლურ კურსს) და თავად რუსეთის რაციონალურ არჩევანს.

საკვანძო სიტყვები: ყარაბაღი, კონფლიქტი, რუსეთის პოზიცია, სომხეთი, აზერბაიჯანი, გავლენა, ინტერესი